

ფინანსური პროტოკოლი
საქართველოსა (საქართველოს მთავრობა)
და
საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას
შორის

NP

DG

საქართველოს მთავრობა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში მითითებული, როგორც "მხარეები").

ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ადასტურებენ რა თავიანთ მზადყოფნას ებრძოლონ საერთაშორისო კომერციულ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ კორუფციას.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 - ფინანსური მხარდაჭერის მოცულობა და მიზანი

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა საქართველოს მთავრობას გაუწიოს ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ითვალისწინებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის და საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ნავიგაციისთვის განკუთვნილი სისტემის მიწოდებას, პირველადი და მუორადი რადარებისა და საჭირო აღჭურვილობის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს საქართველოს განვითარებისთვის პრიორიტეტულ პროექტს.

აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერა მაქსიმუმ 4,690,000.0 ევროს (ოთხი მილიონ ექვსასოთხმოცდაათი ათასი ევრო) ოდენობით განკუთვნილია ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების დასაფინანსებლად კერძოდ:

- ფრანგული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა საფრანგეთში;
- გამოჩადისის სახით, ქართული ან უცხოური საქონლის და მომსახურების შესყიდვა ფინანსური მხარდაჭერის 20%-ის ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი კონტრაქტების გაფორმება მოხდება ფრანგი მომწოდებლების პასუხისმგებლობის ქვეშ.

მუხლი 2 - ფინანსური მხარდაჭერის შემაღენლობა

მუხლი 1-ში აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერა, საფრანგეთის მთავრობის სესხის სახით, არ აღემატება 4,690,000.0 ევროს (ოთხი მილიონ ექვსას ოთხმოცდაათი ათასი).

მუხლი 3 - პროექტის დაფინანსების ფორმები

მუხლი 1-ში აღნიშნული პროექტი ფინანსდება საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი სესხით. პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი კონტრაქტის ფარგლებში თანხის პირველი გადახდა შეადგენს კონტრაქტის ღირებულების 10%-დან 20%-მდე ტრანსპორტირებისა და დახლეუვის ხარჯების გარეშე.

მუხლი 4 - ფინანსური მხარდაჭერის პირობები და ფორმები

საფრანგეთის მთავრობის სესხის ხანგრძლივობაა 18 წელი, 6-წლიანი შეღავათიანი პერიოდის ჩათვლით. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 4,1%-ს. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა მოხდება 24 თანაბარი და თანმიმდევრული ნახევარწლიანი გადახდების სახით. პირველი ამგვარი გადახდა მოხდება იმ კალენდარული კვარტლის დასრულებიდან 78 თვის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მოხდა თანხების ჩამორიცხვა. პროცენტი გამოითვლება სესხის ათვისებულ და დაუფარავ ნაწილზე, მისი დარიცხვა

იწყება საფრანგეთის მთავრობის სესხის კოველი ჩამორიცხვის თარიღიდან და გადაიხდება ნახევარწლიანი ინტერვალებით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი თანხის ან საპროცენტო გადასახდელების გადახდის თარიღი საფრანგეთში არ არის საბანკო დღე, გადახდა ხორციელდება უშუალოდ მომდევნო საბანკო დღეს. ძირითადი თანხის ან საპროცენტო გადასახდელების გადახდის დანიშნულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვადაგადაცილებულ თანხებს გადახდის განხორციელების თარიღამდე დაერიცხება პირგასამტეხლო, რომლის განაკვეთი შეადგენს საფრანგეთის ეკონომიკის, ფინანსთა და დასაქმების სამინისტროს 2008 წლის 21 თებერვლის №2008-166 დადგენილებით განსაზღვრულ წლიურ 3,99%-ს დამატებული 3% შესაბამისად, ვადაგადაცილებულ თანხებზე დასარიცხი პირგასამტეხლოს ოდენობა წინამდებარე სესხის ხანგრძლივობის მანძილზე შეადგენს წლიურ 6,99%-ს. თავის მხრივ, თუ ვადაგადაცილებული საპროცენტო გადასახდელების გადახდა არ მოხდება მთელი წლის განმავლობაში, მათ დაერიცხება ზემოხსენებული პროცენტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა (რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად) და NATIX-ს (რომელიც მოქმედებს საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად) შორის გაფორმდება სასესხო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს საფრანგეთის მთავრობის სესხის გამოყენებისა და გადახდის ფორმებს.

მუხლი 5 - გადახდის ვალუტა

წინამდებარე პროტოკოლის თანახმად გადახდების ვალუტაა ევრო.

მუხლი 6 - კონტრაქტების რეგისტრაცია

წინამდებარე პროტოკოლის პრეამბულაში მხარეებთ გამოხატავენ თავიანთ მზადყოფნას გააგრძელონ ბრძოლა საერთაშორისო კომერციულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული კორუფციის წინააღმდეგ.

წინამდებარე პროტოკოლის ფარგლებში დარეგისტრირებულ კონტრაქტებში მონაწილე მხარეებს არ შეუძლიათ შესთავაზონ ან მისცენ მესამე პირს, თხოვონ, დაეთანხმონ ან შეიძირონ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავიანთ ან სხვის სასარგებლოდ, ნებისმიერი შეუსაბამო სარგებელი, ფულადი ან სხვა სახის, რომელიც უკავშირდება ან შეიძლება დაუკავშირდეს არკანონიერ ქმედებას ან კორუფციას.

მუხლი 1-ში აღნიშნული პროექტის ფარგლებში თითოეული კონტრაქტის რეგისტრაციის პირობაა:

- პროექტის შესაბამისობის შემოწმება სახელმწიფო მხარდაჭერით განხორციელებული ექსპორტის კრედიტების შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ს მიერ დადგენილ წესებთან.
- საქართველოს მთავრობას საფრანგეთის სამთავრობათშორისო სესხების ფარგლებში არ გააჩნია ვადაგადაცილებული თანხების დაკალიანება.
- COFACE-ს მიერ გარანტირებული და გაცემული საქართველოს მთავრობისათვის ან მისი სახელმწიფო სექტორისათვის ან საქართველოს მთავრობის გარანტიებით, საბანკო სესხების ფარგლებში ვადაგადაცილებული თანხების გადამოწმება.

პირველ მუხლში აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, თითოეულ კონტრაქტთან მიმართებაში, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის კომპეტენტური ორგანოები დაადასტურებენ პრობების სათანადოდ შესრულებას, აღნიშნული კონტრაქტი დარეგისტრირდება ამ პროტოკოლის ფარგლებში; რაც მოხდება წერილების გაცემის გზით საფრანგეთის კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილებით მოქმედი, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს ეკონომიკური მისიის ხელმძღვანელსა და საქართველოს სათანადო ორგანოებს შორის.

მუხლი 7 - საფრანგეთის მთავრობის სესხის მოქმედების ვადა

პირველ მუხლში განსაზღვრული ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობისათვის, ფრანგ მომწოდებელსა და ქართულ მიმღებელს შორის ხელმოწერილი კონტრაქტების რეგისტრაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2009 წლის 30 სექტემბრისა.

წინამდებარე პროტოკოლით განსაზღვრული საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში თანხების გამოთხოვა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2009 წლის 31 დეკემბრისა.

მუხლი 8 - გადასახადები

საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი სესხის თანხებიდან არ დაფინანსდება არანაირი პირდაპირი ან არაპირდაპირი გადასახადები, საბაჟო გადასახდელები, საელდებულო მოსაკრებლები ან ადმინისტრაციული ხარჯები საქართველოში.

იმისათვის, რომ ამ პროტოკოლით გათვალისწინებული ფინანსური სახსრები სრულად მოხმარდეს საქართველოს განვითარებას, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ პროტოკოლის ფარგლებში დარეგისტრირებული კონტრაქტებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება, ფრანგული საწარმოების ტექნიკური დახმარების ჩათვლით, ასევე იმპორტი, ექსპორტი, შესყიდვა, გამოყენება ან ფლობა პროტოკოლით გათვალისწინებული მიწოდებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურებისა, თუ დაექვემდებარება საქართველოში რაიმე სახის სახელმწიფო გადასახადების, საბაჟო გადასახდელების ან საქართველოში საელდებულო მოსაკრებლების გადახდას, მაშინ ასეთი სახელმწიფო გადასახადების, საბაჟო გადასახდელების ან მოსაკრებლების მიუხედავად მათი შინაარსისა და ბუნებისა, გადახდა დაეკისრება ქართულ მიმღებელს.

ამასთან, სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა და წინამდებარე პროტოკოლის დადებისთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდა მოხდება საქართველოში არსებული გადასახადების გარეშე.

მუხლი 9 - პროექტის შეფასება მისი დასრულების შემდეგ

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე პროექტის გავლენის შეფასების მიზნით, საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია თავისი ხარჯით განახორციელოს წინამდებარე პროტოკოლით გათვალისწინებული პროექტის ეკონომიკური, ფინანსური და საბუღალტრო შეფასება მისი დასრულების შემდეგ.

საქართველოს მთავრობას, სურვილისამებრ, შემდგომში განსაზღვრული ფორმის მიხედვით, შეუძლია აღნიშნული შეფასების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, რათა პირდაპირ ისარგებლოს შეფასების შედეგებით. საქართველოს მთავრობა თანახმაა მიიღოს საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ საქართველოში აღნიშნული შეფასების განსახორციელებლად გამოგზავნილი მისია და ხელი შეუწეოს მას პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებაში.

მუხლი 10 - ძალაში შესვლა

წინამდებარე პროტოკოლი, მისი ხელმოწერის შემდეგ, ძალაში შედის ქართული მხარის მიერ ფრანგული მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების დღეს, რომლითაც ქართული მხარე შეატყობინებს ფრანგულ მხარეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით წინამდებარე პროტოკოლის ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურები შესრულებულია.

მუხლი 11 - ცვლილებები


წინამდებარე პროტოკოლში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით. ყოველი ამგვარი ცვლილება ძალაში შედის წინამდებარე პროტოკოლის მე-10 მუხლში აღნიშნული პროცედურების შესაბამისად. ნებისმიერი ასეთი ცვლილება წარმოადგენს წინამდებარე პროტოკოლის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე პროტოკოლი ფრანგულ და ქართულ ენებზე ხელმოწერილია 2008 წლის 24 ნოემბერს ქ. თბილისში, შესაბამისი მთაერობების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ოთხ ორგინალად, ამასთან, ფრანგულ და ქართულ ენებზე შესრულებულ ტექსტებს თანაბარი ძალა გააჩნიათ.

საქართველოს (საქართველოს მთაერობის)
სახელით

საფრანგეთის რესპუბლიკის
მთაერობის სახელით

DG



NP